ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური”

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პროცედურა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის № 3 ბრძანების შესაბამისად.

ქ. ფოთი

2014 წელი

სარჩევი

1.საკონკურსო განცხადება.....3–4

2. საკონკურსო პირობები.....5–6

3.ტექნიკური დავალება.....7-8

4.დანართი N1, რეკვიზიტები.....9

5. დანართი N2, ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი.....10

6.დანართი N3, მიწოდების ვადა.....11

7. დანართი N4, საკონკურსო წინადადების ფასი..... 12

1. საკონკურსო განცხადება

1.1. ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1.2 კონკურსის მიზანს წარმოადგენს სრული დაგეგმარების საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა. კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტის კრეატიულ იდეას, არასტანდარტული და არაორდინალური შენობის დიზაინს, ადგილმდებარეობის დაგეგმვას, რაც გულისხმობს ორიგინალურობისა და პრაქტიკულობის სინთეზს.

1.3 შესყიდვის ობიექტია: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N 93–ში მდებარე ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს ადმინისტრაციული, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის სარემონტო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღიცხვო მომსახურების შესყიდვა.

1.4 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **30 000** (ოცდაათი ათასი) ლარს.

1.5 მომსახურების მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **60** (სამოცი) კალენდარული დღისა.

1.6 დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 10 ოქტომბერს, 10 საათიდან 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქუჩა № 93, ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური".

1.7 კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 10 ოქტომბერს, 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქუჩა № 93, ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური".

1.8 დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

1.9 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

1.10 კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.10.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

1.10.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

1.10.3 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს არ განიხილება. 1.10.1 და 1.10.2 პუნქტების დარღვევით წარმოდგენილი

საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.11 დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

1.12 წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

1.13 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. თარგმანთან დაკავშირებით დავის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

1.14 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

2. საკონკურსო პირობები

2.1. შეფასების კრიტერიუმები:
2.1.1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1	სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობის, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის რეკონსტრუქციის ვიზუალიზაცია	კოეფიციენტი - 0.7
2	საკონკურსო წინადადების ფასი	კოეფიციენტი - 0.3

2.1.2 შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;
2.1.3 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

2.2. საკონკურსო წინადადების ფასი:
ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (30 000 ლარი), არ განიხილება.

2.3. **ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:**
2.3.1. ანგარიშსწორების პირობა:
ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის განმავლობაში;
გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.3.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:
ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2%-ის ოდენობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალ დებულებების შესრულებისაგან;
დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
2.3.3. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს და ესკიზის შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილი იქნება კანონმდებლობის სრული დაცვით.

2.3.4. მომსახურების ვადა:
ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა.

2.4 ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

2.5 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.6 გამარჯვებულმა კონკურსატმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შესყიდვებთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

2.7 კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ვიზუალიზაცია და სხვა დოკუმენტაცია, ასევე კონკურსში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ყველა დოკუმენტაცია წარმოადგენს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს საკუთრებას.

2.8 კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) კონკურსანტის რეკვიზიტები, დანართი N1;

ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის და საკონკურსო წინადადების ფასის შესახებ, დანართი N 3 და დანართი N 4;

გ) 2013 – 2014 წლების განმავლობაში, საპროექტო სამუშაოების შესრულება არანაკლებ 300 000 (სამასიათასი) ლარისა, დანართი N 2;

დ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა (შინაარსი).

ე) სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობის, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის სახურავისა და ფასადის რეკონსტრუქციის ვიზუალიზაცია (რენდერები, მონტაჟი არსებულ გარემოში).

2.9 საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა № 93. ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“.

საკონტაქტო პირი: საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი – დავით კვიციანი, ტელ: +995 493 27 49 98 (111), მობილური 5 77 92 38 38, ელ.ფოსტა : d.kviciani@hydrography.ge

წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქუჩა N 93, ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“, საკონკურსო კომისია.

3. ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს ტერიტორიაზე, ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N 93–ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის რეკონსტრუქციის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1. სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობის ახალი სახურავის მოწყობა, მესამე სართულის გარეთა კედლების მოწყობა ვიტრაჟებით, გარეთა ფასადის რემონტი ნესტგამძლე მასალით და შეღებვა.

– მე-3 სართულზე უნდა მოეწყოს საპირფარეშო შხაპით, ერთი საძინებელი ოთახი, სამზარეულო, დერეფანი და საკონფერენციო დარბაზი.

– მე-2 სართულზე არსებული 5 (ხუთი) ოთახის რემონტი.

– შენობის ქვედა ნაწილის წინა ცენტრალური კიბის სიმაღლეზე ფასადის კედლების არსებული გრანიტის მოპირკეთების ანალოგიური ფილებით მოპირკეთება, ცენტრალური კიბის შემინული გადმოხურვის მოწყობა, გვერდითა მხრიდან მდებარე პატარა კიბის გრანიტით მოპირკეთება, ალუმინის მოაჯირისა და შემინული გადმოხურვის მოწყობა.

<u>შენიშვნა:</u> კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის დროს შენარჩუნებული უნდა იქნეს შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული ვიტრაჟები, შენობის ცენტრალური შესასვლე კიბე და მისი მოპირკეთება.

2. ორსართულიანი დამხმარე შემობის არსებული მანსარდული სახურავის დემონტაჟი და შემინული სართულის მოწყობა ახალი გადახურვით (სამსართულიანი ადმანასტრაციული შენობის სახურავთან შესაბამისობაში).

–პირველ სართულზე არსებული 2 (ორი) ოთახის რემონტი.

–მეორე სართულზე არსებული ოთახების კედლების დემონტაჟი და ახალი 4 (ოთხი) ოთახის მოწყობა და რემონტი, საპირფარეშოს და არქივის ოთახის მოწყობა.

–შენობის გვერითა და წინა მხრიდან არსებული კიბეების რეკონსტრუქცია და სამსართულიანი შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის შესაბამისობაში მოყვანა (მოაჯირები, გრანიტის ფილებით მოპირკეთება, შემინული გადმოხურვის მოწყობა).

– გარე ფასადის რემონტი, ნესტგამძლე მასალით და შეღებვა.

3. საწყობის შენობაზე გვერდითა და უკანა მხრიდან 2 (ორი) ოთახის დამატება და ახალი სახურავის (ადმანასტრაციული და დამხმარე შენობების სახურავთან შესაბამისობაში) მოწყობა, გარე ფასადის რემონტი ნესტგამძლე მასალით და შეღებვა.

4. დაცვის ჯიხურის ახალი სახურავის (ადმანასტრაციული, დამხმარე და საწყობის შენობების სახურავთან შესაბამისობაში) მოწყობა, გარე ფასადის რემონტი ნესტგამძლე მასალით და შეღებვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესების სრული დაცვით.

<u>შენიშვნა:</u> კონკურსში გამარჯვებულმა საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია (CD დისკი).

დანართი N 1

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
4. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა

ბ.ა.

დანართი № 2

2013-2014 წლებში შესრულებელი საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	დამკვეთი ორგანიზაცია	სახელშეკრულებო ღირებულება	ხელშეკრულების თარიღი, (დაწყება, დამთავრება)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

კონკურსანტის ხელმოწერა

ბ.ა.

დანართი № 3

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა

№	ობიექტის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ვადა (დღეები)	შენიშვნა
1	2	3	4
	სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს ადმინისტრაციული, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის რემონტისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია.		
	სულ:		

კონკურსანტის ხელმოწერა

ბ.ა.

დანართი № 4

საკონსკურსო წინადადების ფასი

№	ობიექტის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	2	3	4
	სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს ადმინისტრაციული, დამხმარე და საწყობის შენობების, დაცვის ჯიხურის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია.		
	სულ:		

ხელმძღვანელის ხელმოწერა

ბ.ა.